სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსი

ბრძანება

№1.1/10

ქ.თბილისი 31.01.2020 წ.

საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის სერტიფიცირების ეტაპისთვის, დირექტორობის მსურველთა რეგისტრაციის ვადის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 55-ე და 57-ე მუხლების, „საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის გამართვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 24 თებერვლის N25/ნ ბრძანებით დამტკიცებული დანართის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის №229/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის დებულების“ მე-3 მუხლის მეორე პუნქტის „რ“ ქვეპუნქტისა და მე–5 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. **საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის სერტიფიცირების ეტაპისათვის, დირექტორობის მსურველთა რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს: 2020 წლის 03 თებერვლიდან - 2020 წლის 17 თებერვლის ჩათვლით.**
2. დაევალოს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურს, ამ ბრძანების საჯაროდ გამოქვეყნება სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებ გვერდზე განთავსების გზით.
3. ბრძანება ძალაში შევიდეს საჯაროდ გამოქვეყნებისთანავე.
4. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6) კანონით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ზოგადი განათლების სამსახურის უფროსის - ნინო თოდუას 2020 წლის 31 იანვრის N112883 სამსახურებრივი ბარათი.

უფროსი **დიმიტრი ბერიძე**